

თამთა აბულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კორეულ-ქართული სასწავლო ონლაინ-ლექსიკონის შედგენის პრინციპები: ლექსიკონის მაკროსტრუქტურა

აბსტრაქტი

სტატიაში მოცემულია ლექსიკონის შედგენისას, მიღებული გადაწყვეტილებები, კერძოდ: წინასწარ განისაზღვროს ლექსიკონის მაკრო- და მიკროსტრუქტურა, რომელიც ლექსიკონის ორი ძირითადი შემადგენელი ნაწილია და ასევე, რა ტიპის ლექსიკონი იქმნება.

კორეულ-ქართული სასწავლო ონლაინ ლექსიკონი სათაურშივე განისაზღვრა, რომ იქნება ორენოვანი სასწავლო ონლაინ ლექსიკონი. შესაბამისად, მისი მაკროსტრუქტურის განსაზღვრა დაფუძნებული იქნება იმ მასალაზე, რაც გამოიყენება კორეული ენის სწავლების დროს (Ewha Korean A1-A2; TOPIK საგამოცდო ტესტის A1-A2 დონის სიტყვანი).

სტატიაში ასევე განხილულია ლექსიკური ერთეულების ტიპები, კერძოდ: მარტივი, ნაწარმოები და რთული სიტყვები. მოცემულია ის მეტყველების ნაწილები, რომელსაც მოიცავს ლექსიკონის სიტყვანი. აღწერილია აფიქსები მაგალითებით. აღნიშნულია, რომ ლექსიკონში ცალკე სასათაურე სიტყვებად შედის გრამატიკული სიტყვები, კერძოდ: წინდებულები, კავშირები და მეშველი ზმნები. ცალკე ლექსიკურ ერთეულებად გამოტანილია ფრაზეოლოგიზმები და კოლოკაციები.

კორეული ენისთვის დამახასიათებელია ომონიმები, სწორედ ამიტომ სტატიაში დეტალურად განხილულია ომონიმების ლექსიკონში შეტანის საკითხი და მათი თავისებურებანი.

სტატიაში მოცემულია ლექსიკონში სიტყვანის ორგანიზების პრინციპი. ცალკე სიტყვა-სტატიებად გამოტანილი საკუთარი სახელები და ტოპონიმები.

თითოეული ლექსიკური ერთეული, მეტყველების ნაწილები და ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხს ახლავს საილუსტრაციო მაგალითი.

სტატია სრულდება წინასიტყვაობისა და დანართის აღწერით, თუ რა შვეა თითოეულ ნაწილში.

სტატიის დასკვნის სახით მოცემულია მაკროსტრუქტურის დამუშავების შემდეგ მიღებული შედეგი.

საკვანძო სიტყვები: *კორეული ენა, ლექსიკოგრაფია, მაკროსტრუქტურა, ომონიმები.*

შესავალი

მოცე საუკუნის ბოლომდე, ლექსიკონები იქმნებოდა ბეჭდური სახით, რაც გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა ლექსიკოგრაფებს, კერძოდ ადგილის ეკონომიის მიზნით ლექსიკოგრაფებს უწევდათ სიტყვების რაოდენობისა და მიკროსტრუქტურის კომპონენტების შეკვეცა.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ბეჭდურმა ლექსიკონებმა გზა დაუთმო ელექტრონულ ლექსიკონებს. პირველი ელექტრონული ლექსიკონები გასული საუკუნის 80-იან-90-იან წლებში გამოჩნდა. 2000 წელს კი შეიქმნა ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის ონლაინ ვერსია. ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას ბევრი უპირატესობა აქვს ბეჭდურ ლექსიკონებთან შედარებით (მარგალიტაძე 2022, 149,151). ონლაინ ლექსიკონის ფორმატი საშუალებას გვაძლევს სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სტრუქტურა მაქსიმალურად მივუსადაგოთ კორეული ენის სწავლების საჭიროებებს, გავახმოვანოთ კორეული სიტყვები, მომხმარებელს შევთავაზოთ კორეული სიტყვების რომანიზებული ფორმები, კარგად აღვწეროთ სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობები, დავურთოთ მათ საილუსტრაციო წინადადებები, შესიტყვებები, იდიომები და სხვა.

ამ სტატიაში განხილულია კორეულ-ქართული სასწავლო ონლაინ-ლექსიკონის მაკროსტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები.

მაკროსტრუქტურა არის ლექსიკონში შესული სიტყვების ერთობლიობა, ანუ ლექსიკონში შესული ყველა ლექსიკური ერთეულის სრული სია, რომელსაც ასევე ვუწოდებთ ლექსიკონის სიტყვანს (მარგალიტაძე 2022, 18). კორეულ-ქართული სასწავლო ონლაინ ლექსიკონის შემთხვევაში სიტყვანი შეირჩა როგორც იმ სახელმძღვანელოებიდან, რომლებსაც სასწავლო პროცესში ვიყენებთ, ასევე კორეული ენის საერთაშორისო გამოცდის პროგრამაში შესული A1-A2 დონის შესაბამისი სიტყვების სიიდან (Ewha Woman's University Language Center 2018).

ლექსიკური ერთეულების ტიპები

კორეულ-ქართულ ლექსიკონში ცალკე ლექსიკურ ერთეულებად შესულია როგორც სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, ისე აფიქსები და გრამატიკული სიტყვები. სრულმნიშვნელობიან სიტყვებში შედის როგორც მარტივი, ისე ნაწარმოები სიტყვები და რთული სიტყვები. მაგალითად:

მარტივი სიტყვები:	ნაწარმოები სიტყვები:	რთული სიტყვები:
집 / jip ('სახლი')		손목 / sonmok ('მაჯა') ²

² მოცემული რთული სიტყვა ნაწარმოებია არსებითი სახელით; (손 / son ('ხელი') + 목 / mok ('კისერი')).

	불가능/bulganeung (‘შეუძლებელი’) ¹	
산/san (‘მთა’)	작가/jakga (‘მწერალი’) ³	누물/nunmul (‘ცრემლი’) ⁴

ლექსიკონის სიტყვანი მოიცავს შემდეგ მეტყველების ნაწილებს: არსებით სახელს, ნაცვალსახელს, ზედსართავს, დეტერმინერს, ზმნას, ზმნიზედას, რიცხვით სახელსა და შორისდებულს. მაგალითად (Ewha Woman's University Language Center 2018):

არსებითი სახელი	책/chaek (‘წიგნი’)	사랑/sarang (‘სიყვარული’)
ნაცვალსახელი	저/jeo (‘მე’)	너/neo (‘შენ’)
ზედსართავი სახელი	예쁘다/yeppeuda (‘ლამაზი’)	크다/keuda (‘დიდი’)
დეტერმინერი	사/sae (‘ახალი’)	모든/modeun (‘ყველა’)
ზმნა	가다/gada (‘სიარული’)	먹다/meokda (‘ჭამა’)
ზმნიზედა	쁘리/ppalli (‘სწრაფად’)	아마/ama (‘შესაძლოა’)
რიცხვითი სახელი	한/hana (‘ერთი’)	일/il (‘ერთი’) ⁵
შორისდებული	아이고!/aigo! (‘უჰ!ვაი! ჰეი!’)	아! a! (‘აჰ!’)

დეტერმინერი ⁶ დამახასიათებელია კორეული ენისათვის და ამიტომ მას, როგორც მეტყველების ნაწილს ცალკე გამოვყოფთ. დეტერმინერი სხვა ენებში,

¹ მოცემული ნაწარმოები სიტყვა შედგება პრეფიქსისგან/აფიქსისგან და სიტყვის ფუძისგან (불/bul (‘არა/უარყოფა’) + 가능/ganeung (‘შესაძლებელი’).

³ მოცემული რთული სიტყვა შედგება სიტყვის ფუძისა და სუფიქსისგან; 작/jak (‘შეთხზა’) + 가/ga (‘ადამიანი’).

⁴ 누물 ასევე შედგება ორი სრულიად დამოუკიდებელი არსებითი სახელისგან: (누/nun (‘თვალი’) + 물/mul (‘წყალი’).

⁵ კორეულ ენაში რიცხვითი სახელის შემთხვევაში გვაქვს, როგორც კორეული ეტიმოლოგიის ასევე, ჩინური წარმომავლობის მქონე სიტყვები, რომელიც გამოიყენება ყოველდღიურად. შესაბამისად ლექსიკონში ორივე წარმომავლობის სიტყვები შევიტანეთ. ციფრები გამოიყენება სხვადასხვანაირად. მაგ., თუ გვაქვს კორეული წარმომავლობის ან უცხოურ სიტყვასთან ვიყენებთ კორეულ ციფრებს, ხოლო ჩინური ეტიმოლოგიის სიტყვებთან ვიყენებთ ჩინურ ციფრებს. (Yu Hyun-Kyung 2018, 251)

⁶ დეტერმინერი - სიტყვა, რომელიც წინ უძღვის არსებით სახელს და განსაზღვრავს მას. კორეულ ენაში არსებული დეტერმინერი ინგლისურ ენაში არსებული არტიკლისა და ზედსართავის როლს ითავსებს. (Yu Hyun-Kyung 2018, 279).

ცალკეულ მეტყველების ნაწილად არ გვხვდება. ინგლისურ ენაში დეტერმინერი შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც ზედსართავი სახელი. თუმცა ზედსართავი სახელისგან განსხვავებით ის არ იუღლება⁷, ხოლო არსებითი სახელისგან განსხვავებით დეტერმინერს არ ემატება ბრუნვის ნიშანი/ სუფიქსი/პრეფიქსი (Yu Hyun-Kyung 2018, 280). სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფა.

კორეულ-ქართულ ლექსიკონში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აფიქსების აღწერას. ამიტომ მაკროსტრუქტურაში ცალკე სასათაურო სიტყვებად შეტანილია პრეფიქსები და სუფიქსები. მაგალითად:

პრეფიქსები:	ㅏ//sae ('ახალი')	ㅊ//heot ('ყალბი, ცრუ') ⁸
სუფიქსები:	- ㅁ/nim (‘პატივისცემის/თავაზიანობის გამომხატველი ფორმა’)	- ㅊ/-jeok (‘რაიმესთან დაკავშირებული, ესა თუ ის მდგომარეობა, ამა თუ იმ თვისების მქონე’) ⁹

კორეულ-ქართულ ლექსიკონში ცალკე სასათაურო სიტყვებად შედის გრამატიკული სიტყვები: წინდებულები, კავშირები და მეშველი ზმნები. მაგალითად:

კავშირი	ㄱㄹ/ㄱ/ geurigo ('და')	또 ㄱ/ ttohan ('ასევე, აგრეთვე')
მეშველი ზმნა	- ㅅ/ㅅ/ㅅ 보다/ a/eo/yeo boda (‘რაიმეს გაკეთების ცდა’)	- ㄷ ㅈ ㅅ/ -ㄷ jul alda (‘რაიმეს გაკეთების წესის ცოდნა’)

ლექსიკონში ცალკე ლექსიკურ ერთეულებად შეტანილია გავრცელებული მრავალსიტყვიანი ერთეულები, რომლებიც ერთ ცნებას აღნიშნავენ. ფრაზეოლოგიზმები და კოლოკაციები ლექსიკონში დაკავშირებული იქნება კოლოკაციებში შემავალ ცალკეულ სიტყვებთან. მაგალითად:

⁷ კორეულ ენაში ზედსართავი სახელი ითავსებს ზმნის ფუნქციას (მაგ.: გადადის დროში და სხვ.), სწორედ ამიტომ სხვადასხვა წყაროში გვხვდება „ზედსართავი სახელების უღლება“.

⁸ მაგალითები: ㅏㅈ/ sae-cha ('ახალი მანქანა'). ㅊㅅ/ heot-sori ('წონსენსი, უაზრობა').

⁹ მაგალითები: ㅅㅅ님/seonsaeng-nim ('მასწავლებელი'); ㅅㅅㅅ/ yeoksa-jeok ('ისტორიული')

ფრაზოლოგიზმები	<i>안녕히 계세요/ annyeonghi gyeseyo</i> ('ნახვამდის') ¹⁰	<i>수고하셨습니다/ sugohasyeotseumnida</i> ('მადლობა') ¹¹
კოლოკაციები	<i>시간을 보낸다/ siganeul bonaeda</i> ('დროის გატარება')	<i>소식을 전하다/ sosigeul jeonhada</i> ('ახალი ამბის გადაცემა')

ომონიმები

ნებისმიერი ლექსიკონის მაკროსტრუქტურის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უკავშირდება ომონიმებს. კორეული ენისათვის ომონიმები ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, არსებობს ომონიმის რამდენიმე შემთხვევა (Soo-Yeon 2003, 72):

1. მსგავსი დაწერილობისა და წარმოთქმის, განსხვავებული მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის სიტყვები (ომონიმები); მაგალითად:

<i>배¹ / bae</i> ('მსხალი')	<i>배² / bae</i> ('გემი')
<i>말¹ / mal</i> ('სიტყვა')	<i>말² / mal</i> ('ცხენი')

2. განსხვავებული დაწერილობის და მსგავსი წარმოთქმის, განსხვავებული ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობის სიტყვები (ომოგრაფები). მაგალითად:

<i>갸 / got</i> ('მალე, ცოტა ხანში')	<i>갸 / got</i> ('ადგილი')
<i>삿 / bit</i> ('სინათლე, შუქი')	<i>삿 / bit</i> ('ვალი')

3. მსგავსი დაწერილობის და განსხვავებული წარმოთქმის ¹² და მნიშვნელობის სიტყვები (ომოფონები); მაგალითად:

მოკლე ხმოვანი	გრძელი ხმოვანი
<i>nun¹ / nun</i> ('თოვლი')	<i>nun² / nūn</i> ('თვალი')
<i>bam¹ / bam</i> ('ღამე')	<i>bam² / bām</i> ('წაბლი')

¹⁰ მოცემულ ფრაზას ვიყენებთ, როცა მოსაუბრე მიდის და მოპასუხე, რომელიც რჩება ემშვიდობება.

¹¹ მოცემულ ფრაზას ვიყენებთ, როცა გვინდა მადლობა ვუთხრათ ადამიანს თავდაუზოგავი გარჯისთვის.

¹² ისტორიულად გრძელი და მოკლე ხმოვნების არსებობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კორეულ ფონოლოგიაში, თუმცა დღესდღეობით მათ შორის სხვაობა აღარ იგრძნობა, გამოითქმის ერთნაირად მოკლედ.

კორეულ ენაში, ასევე გამოყოფენ მეოთხე ტიპის ომონიმებსაც, ძირითადად ზმნა¹³, რომლის საწყისი ფორმაც განსხვავებულად იწერება და აქვს განსხვავებული მნიშვნელობა, მაგრამ არსებითი სახელის განსაზღვრის დროს იწერება და იკითხება მსგავსად, თუმცა მნიშვნელობა აქვს განსხვავებული (Soo-Yeon 2003). კორეულ-ქართულ ლექსიკონში მეთაურ სიტყვებად შეგვაქვს ზმნების საწყისი ფორმა, ამიტომ მეოთხე ტიპის ომონიმები არ გამოვყავით დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად. კორეული ენისათვის ძირითადად დამახასიათებელია სწორედ ომონიმების სიუხვე. კორეულ-ქართული ლექსიკონის სიტყვანში ომონიმები შეტანილია ცალკე ლექსიკურ ერთეულებად და დანომრილია არაბული სუპერსკრიპტებით.

ლექსიკონში სიტყვანის ორგანიზება

არსებობს ლექსიკონში სიტყვანის ორგანიზების რამდენიმე პრინციპი. მათგან მნიშვნელოვანია სიტყვანის დალაგება თემატური პრინციპით ან სიტყვანის ანბანთრიგზე განლაგება. ონლაინ ლექსიკონში თითქოს სიტყვანის ანბანის მიხედვით წარმოდგენა არ უნდა იყოს საჭირო, რადგან მომხმარებელი საძიებო ველში მისთვის საინტერესო სიტყვას წერს. თუმცა, სასურველია საძიებელი სიტყვის გამოტანისას, ონლაინ ლექსიკონის მარცხენა მხარეს გამოჩნდეს ამ სიტყვის მეზობელი სიტყვები, როგორც წინამავალი, ისე მომდევნო, 10-15 სიტყვა. ამიტომ, კორეულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვანი იქნება ორგანიზებული ანბანის მიხედვით.

აქ ისმის კითხვა, ანბანი უნდა იყოს კორეული თუ კორეული სიტყვების რომანიზებული ფორმის მიხედვით? ვინაიდან ეს ლექსიკონი არის სასწავლო ტიპის ლექსიკონი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სიტყვების განლაგება კორეული ანბანთრიგის მიხედვით. შესაბამისად, ლექსიკონში სიტყვანი დალაგებულია კორეული ანბანის მიხედვით. მაგალითად:

갈잎/garip	(‘გამხმარი ფოთლები’)
감전도다/gamjeondoeda	(‘ელექტრომოკის მიღება (<მი>იღებს’)
강변/gangbyeon	(‘მდინარის ნაპირი’)
강사 ¹ /gangsā	(‘ლექტორი, ვინც საჯარო ლექციას კითხულობს’)
강사 ² /gangsā	(‘კოლეჯის ან უნივერსიტეტის მასწავლებელი, პედაგოგი’)
개구리/gaeguri	(‘ბაყაყი’)
거기/geogi	(‘იქ; იქით’)
거실/geosil	(‘საერთო ოთახი, სასტუმრო ოთახი; სასადილო ოთახი, მისაღები ოთახი’)

¹³ მაგალითისთვის: 살다/ salda (‘ცხოვრება’) და 사다/sada (‘ყიდვა’). არსებითი სახელის განსაზღვრის დროს კი, ორივეს ექნება მსგავსი ფორმა და გამოთქმა: 사느 사람/ saneun saram (‘აღამიანი, რომელიც ცხოვრობს; მცხოვრები’) და 사느 물건/ saneun mulgeon (‘ნივთი, რომელსაც ყიდულობ; ნაყიდი ნივთი’).

საკუთარი სახელები

რადგან კორეულ-ქართული ლექსიკონი არის სასწავლო ლექსიკონი და იქნება მისი ონლაინ ვერსია, სადაც არ იქნება ადგილის პრობლემა, ლექსიკონში ცალკე ერთეულებად შევიტანთ საკუთარ სახელებსა და ტოპონიმებს. მაგალითად:

საკუთარი სახელები	정해인/Jeong Haein ('ჯეონგ ჰეინი')
	세종대왕/Sejong daewang ('მეფე სეჯონ(გ) დიდი')
ტოპონიმები	서울/Seoul ('სეული')
	부산/Busan ('ბუსანი')

წინასიტყვაობა და დანართები

ლექსიკონის წინასიტყვაობაში აღწერთ კორეული ენის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, კორეული ენისა და დამწერლობის ისტორიას. წინასიტყვაობას ასევე დავურთავთ ლექსიკონის გამოყენების გზამკვლევს, სხვადასხვა გრამატიკული თუ სტილისტიკური კვალიფიკაციების შემოკლებების სიას და სხვა.

რაც შეეხება ლექსიკონის დანართებს, მათში შევიტანთ სხვადასხვა ცხრილებს, თემატურ ლექსიკას ფოტომასალით და სხვა თვალსაჩინო მასალას, რაც შემსწავლელს გაუადვილებს ლექსიკის ათვისებას.

დასკვნა

კორეულ-ქართული ონლაინ ლექსიკონი არის სასწავლო ტიპის ლექსიკონი, რომლის მიზანია ჩვენ მიერ შემუშავებულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებზე დაყრდნობით კორეულ ენაში არსებული და წინასწარ განსაზღვრული A1-A2 დონის სიტყვანის ქართულ ენაზე თარგმნა და აღწერა. სწორედ ამიტომ სიტყვანი ამოღებულია კორეული ენის სწავლის პროცესში გამოყენებული ორი ძირითადი სახელმძღვანელოდან “Ehwa Korean – 이화 한국어” (Ewha Woman's University Language Center 2018) და “New 가나다 Korean for Foreigners (InstituteCANADA 2010)”, აგრეთვე, კორეული ენის საერთაშორისო გამოცდის ტესტების მიხედვით განსაზღვრული ლექსიკიდან.

ლექსიკონის სიტყვანი დალაგებულია ანბანთრიგზე კორეული ანბანის მიხედვით. ლექსიკონში ცალკე სასათაურო სიტყვებად შეტანილია როგორც სრულმნიშვნელობიანი სიტყვები (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა, დეტერმინერი, ზმნიზედა და რიცხვითი სახელი), ისე აფიქსები და გრამატიკული სიტყვები. ლექსიკონის მაკროსტრუქტურაში ცალკე ლექსიკურ ერთეულებად არის გამოტანილი ომონიმები, რომელთა სიუხვითაც ხასიათდება კორეული ენა.

სასწავლო ლექსიკონში ასევე შევიტანთ საკუთარ სახელებსა და ტოპონიმებს. ლექსიკონს ექნება წინასიტყვაობა და დანართები.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

- AI LAB in Pusan National Univ. and NARA INFO TECH Co., Ltd jointly, Prof. Lee, Sang-Oak in Seoul National Univ. 2000. *Korean Romanization Converter*. Busan, 7 7.
- Ewha Woman's University Language Center. 2018. *Ewha Korean English Guide 1-1*. Seoul: Ewha Woman's University Language Center.
- —. 2018. *Ewha Korean Students Book 1-1*. Ewha Woman's University Language Center.
- National Institute of Korean Language. 2023. "krdict." <https://krdict.korean.go.kr/>.
- Soo-Yeon, Park. 2003. "A Study on Distinguishing Homonyms in Korean Learner's Dictionary." *Dpibia*.
- მარგალიტაძე, თინათინი და მელაძე გიორგი. 2012. "დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი - ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი." *სპეკალი*.
<https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/7/62/>.
- Watts, Cody. 2016. *codywatts*. Accessed 12 15, 2024.
<http://www.codywatts.com/romanizer/>.
- Yu Hyun-Kyung, Han Jae- Young, Kim Hong-Beom, Lee Jung-Tag, Kim Seong-Kyu, Kang Hyoun-Hwa, Koo Bon-Kwan, Lee Byoung-Gyu, Hwang Hwa-Sang, Lee Jin-Ho. 2018. *한글이 표준 문법*. Seoul: Jimpoondang.
- მარგალიტაძე, თინათინ. 2022. *ლექსიკოგრაფიის შესავალი*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.